საჯარო სამართლის იურიდიული პირი

მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო

KA020100631289123

თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ: 0 32 2 95 00 30

ბრძანება № 74/ს

27 / იანვარი / 2023 წ.

შპს „კარიერი“-ზე (ს/ნ 405420183) გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების №262 ლიცენზია - ბრძანებით გათვალისწინებული წიაღისეულის ათვისების გეგმის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დამტკიცებული „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ“ დებულების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2018 წლის 4 იანვრის №1-1/2 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს დებულების მე-2 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის და მე-4 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის, „შპს „კარიერი“-ზე (ს/ნ 405420183) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ“ სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს უფროსის 2022 წლის 30 დეკემბრის №262 ლიცენზია - ბრძანების და შპს „კარიერი“-ს ((ID: 81487, შტრიხკოდი: 3234100, 17.01.2023წ.) სააგენტოში შემოსვლის №476, 20.01.2023წ.) განცხადების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, სოფ. თონეთის მიმდებარე ტერიტორიაზე, შპს „კარიერი“-ზე (ს/ნ 405420183) გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების № 262 ლიცენზია - ბრძანებით გათვალისწინებული წიაღისეულის: ქვიშა-ხრეშის ათვისების გეგმა მოცემული ცხრილის შესაბამისად:

წელი	**ასათვისებელი რესურსის ოდენობა მ3**
2023 წლის 31 დეკემბრამდე	**5520**

2. ბრძანება გასაცნობად გადაეცეს დაინტერესებულ მხარეს;

3. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. №2).

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ანდრო ასლანიშვილი